



პ რ ე ს რ ე ლ ი ზ ი

05.05.2017

5 მაისს, ქ.ზუგდიდში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლები გამართავენ საჯარო შეხვედრას დაინტერესებულ მხარეებთან.

შეხვედრაზე განიხილება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტებში ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და გაცემული რეკომენდაციები. ასევე, აუდიტის სამსახურის წარმომადგენლები შეხვედრის მონაწილეებს გააცნობენ აუდიტის სამსახურის ახალი ინოვაციური ვებპლატფორმის - ბიუჯეტის მონიტორის (www.budgetmonitor.ge) შესახებ ინფორმაციას. ბიუჯეტის მონიტორი საკრებულოს წევრებს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, დაინტერესებულ ექსპერტებსა და მოქალაქეებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, აირჩიონ მათთვის საინტერესო სფერო და მიიღონ მუდმივად განახლებადი და სანდო ინფორმაცია თითოეული მუნიციპალიტეტის შემოსავლების, ხარჯების, ტრანსფერების, ინფრასტრუქტურული პროექტების, ადმინისტრაციული ხარჯების, მუნიციპალიტეტებში არსებული იურიდიული პირების ხარჯებისა და აღნიშნულ საკითხებზე აუდიტის შედეგად გამოვლენილი მიგნებებისა და რეკომენდაციების შესახებ.

საჯარო განხილვები მსგავსი ფორმატით ასევე ჩატარდება საქართველოს სხვადასხვა ქალაქში - ოზურგეთი, ბათუმი, თბილისი.

საჯარო განხილვები სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და USAID-ის პროგრამა „კარგი მმართველობის ინიციატივის“ პროექტის - „აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის“ ფარგლებში ხორციელდება.